ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საკონკურსო
კომისიის თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ16.3722185001**

თარიღი:**04/07/2022**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატების შერჩევის მიზნით ღია კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად შექმნილი საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ

ავთანდილ გოლიაძის დანიშვნის შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატების შერჩევის მიზნით დახურული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად შექმნილი საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობისა და შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის 2022 წლის 30 მაისის N ბ37.37221504 ბრძანების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საინფორმაციო ანალიტიკური და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების, პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში, მე-3 რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი და მე-4 რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატების შერჩევის მიზნით ღია კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად შექმნილი საკონკურსო კომისიის წევრი ავთანდილ გოლიაძე დაინიშნოს ამავე საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ;

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

3. ბრძანება ძალაშია მისი კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

ნანა თავდუმაძე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი